პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 255 (13947) | კვირა, 29 ოქტომბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

29 ოქტომბერი კომკავშირის დაბადების დღეა!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს

— კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა

მოწინავე რაზმს!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის)

ოქტომბრის დროშა — მშვიდობის დროშა

ПРАВДА

28 ოქტომბრის მოწოდება

დიდმა ოქტომბერმა ძირეული ძვრები მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში, გამოიწვია იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის ღრმა კრიზისი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მშრომელმა მასებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა აქტიურად და სულ უფრო მტკიცედ მოეხდინათ ზემოქმედება საერთაშორისო ამბების მსვლელობაზე. ახლა სოციალისტური ქვეყნების ძმური კავშირი, რომელიც გაიზარდა და განმტკიცდა, მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. გაიზარდა მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების როლი. იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მიუხედავად, ხალხებს ახლა აქვთ საკმაო ძალა და საშუალებანი, რათა თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი.

თავიანი არსებობის მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ჩვენი სახელმწიფო თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ის, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ხელსაყრელი საგარეო პირობები ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება. საბჭოთა ხელისუფლების პირველი სიტყვები, რომლებიც მიმართა სხვა ქვეყნებს, იყო მოწოდება მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილმა და სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე მიღებულმა დეკრეტმა ზავის შესახებ დაგმო იმპერიალისტური ომი როგორც „უდიდესი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“, გამოაცხადა ხალხთა უფლება მშვიდობაზე. განსელილმა ნახევარმა საუკუნემ მოელი ძალით გამოავლინა თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ლენინურ დეკრეტს, რომელმაც წამოაყენა საერთაშორისო ურთიერთობის ახალი პრინციპები და კაცობრიობას დაუხახა ომო მსოფლიოს პერსპექტივა.

განუყრელად უკავშირებდა რა სოციალიზმისათვის ბრძოლას მშვიდობისათვის ბრძოლას, როგორც ამას ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, საბჭოთა კავშირმა თავის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად დაუდო ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და თანასწორობის, პატივისცემის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სავსებით შეესაბამება არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების, ხალხების საარსებო ინტერესებს. სწორედ ამიტომ ეკიდებიან ისინი ამ პოლიტიკას სიმპათიით, ნდობითა და მხარდაჭერით.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ ადუდგა წინ იმპერიალისტურ აგრესიას. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა კავშირი უწევდა და კვლავაც გაუწევს ყოველნაირ დახმარებას ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკელ დამპყრობლებთან ბრძოლაში. ვიეტნამელმა ხალხმა იცის, რომ იგი მარტო არ არის. მის მხარეზე არიან ერთგული მეგობრები — საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები და მშვიდობისმოყვარე ძალები. სსრ კავშირმა დაგმო ისრაელის აგრესია, რომელიც იმპერიალისტურმა წრეებმა გამოიყენეს ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის იარაღად. სსრ კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს სამართლიან მოთხოვნას არაბული ქვეყნების ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ. საბჭოთა ხალხი მუდამ იმათ მხარეზეა, ვინც იბრძვის იმპერიალისტური ჩაგვრისა და აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ამოცანას. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკამ ევროპაში, რომელმაც ხორცი შეისხა ნატოს აგრესიული ბლოკის შექმნით, აააღორძინა ერეანშისტული ძალები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომლებიც აშკარად აცხადებენ, რომ მიზნად აქვთ გადასინჯონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები, ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი, ემუქრებიან თავიანთ მეზობლებს, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მოქმედებს რა კონტინენტის სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, საბჭოთა კავშირი მოითხოვს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას და ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის მოგვარებას.

ამ დღეებში, დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის წინ, ლენინგრადში გაიმართა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის საიუბილეო სესია, რომელიც მიეძღვნა ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის 50 წლისთავს. სესიის მონაწილენი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ თავიანთ გამოსვლებში, რომ განვლილმა ნახევარმა საუკუნემ სავსებით დაადასტურა დიდი ლენინის სიბრძნე და გამჭრიახობა. როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი წინასწარმეტყველებდა, ხალხთა მასების აქტიური ზემოქმედება მშვიდობის ბედ-იღბალზე წლითწლობით ძლიერდება, იმპერიალისტური წრეები კი იძულებული არიან სულ უფრო მეტად გაუწიონ ანგარიში ხალხთა ნებასა და მოთხოვნებს. საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ ამ ისტორიულ პროცესს საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

სესიაზე დიდი ალმავლობით მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლებისადმი. „მშვიდობის უზრუნველყოფა ადვილი როდია, — ნათქვამია ამ დოკუმენტში. — ჩვენ ვიცით: სანამ დედამიწაზე არსებობს იმპერიალიზმი, იქნება ახალი მსოფლიო ომის საფრთხეც. მაგრამ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ხალხებს, თუ ისინი გაერთიანდებიან და აქტიურად იმოქმედებენ, შეუძლიათ შეინარჩუნონ და განამტკიცონ საყოველთაო მშვიდობა“.

საიუბილეო სესიამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნა წერილი. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ასრულებს რა ზავის შესახებ ლენინურ დეკრეტში დასახულ კურსს, საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად უზრუნველყოფს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. საბჭოთა სახელმწიფო დაუფცარმლად განამტკიცებს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობასა და შეკავშირებას, მათს მეგობრობასა და ძმობას. იგი მტკიცედ და გადაჭრით უუარს მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს და ახორციელებს თანამშრომლობას ახალგაზრდა განთავისუფლებულ ქვეყნებთან. იგი თანმიმდევრულად იცავს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. იგი გამანადგურებელ ლაბვარს სცემს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, ცდილობს იხსნას კაცობრობა ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან.

აღნიშნავენ რა ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის 50 წლისთავს, საბჭოთა მებრძოლნი მშვიდობისათვის მოუწოდებენ ყველა კეთილი ნების ადამიანს კიდევ უფრო ენერგიულად, კიდევ უფრო თავდადებულად იბრძოლონ იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მშვიდობის საქმე, ოქტომბრის საქმე იმარჯვებს. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სადღესასწაულო მოწოდებას:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

დიდი ზეიმი საარტილერიო სასწავლებელში

სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანმა საარტილერიო სასწავლებელმა. მისი პირველი კურსდამთავრებულნი საქართველოს მშრომელებთან ერთად იბრძოდნენ ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის.

დიდი სამამულო ომის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაიწერა სასწავლებლის ბევრი კურსდამთავრებულის გმირობა. ამ სასწავლებლიდან გამოვიდა საბჭოთა არმიის 27 გენერალი, მათ შორის გენერალ-პოლკოვნიკები კ. ლესელიძე, ა. ბაბაჯანიანი და ჩვენი ლეგენდამოსილი შეიარაღებული ძალების სხვა თვალსაჩინო მხედართუფროსები. სასწავლებელმა სამშობლოს მისცა 28 საბჭოთა კავშირის გმირი, მათ შორის თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, სამშობლოსათვის ბრძოლებში გმირულად დაღუპული უფროსი ლეიტენანტი ვ. ხარაზია, ლეიტენანტი ს. ოგანოვი და სხვები.

თავიანთი სასწავლებლის საბრძოლო ტრადიციებისადმი ერთგულმა კურსანტებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მოწინავე ქვეგანაყოფების მებრძოლები, რომლებსაც მეთაურობენ ოფიცრები გ. ჩახნაშვილი, ვ. სულაბერიძე, ვ. ხრეტოვი, ბ. აჯოე, ი. ოსიპოვი და სხვები, სამეცადინო კლასებსა და ლაბორატორიებში, პოლიგონებზე და ლაშქრობებში ბეჯითად ეუფლებიან სამხედრო ცოდნას, ღრმად სწავლობენ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებას.

სასწავლებლის პირად შემადგენლობას მჭიდრო საშეფო ურთიერთობა აქვს თბილისის ბეერ საწარმოსთან და სკოლასთან, ეხმარება მათ იმაში, რომ ახალგაზრდობაში გააჩაღონ სამხედრო-პატრიოტული მუშაობა.

უდიდეს სიხარული განიცადეს არტილერისტმა მებრძოლებმა საბჭოთა სახელმწიფოს სასელოვანი 50 წლის იუბილეს წინ. საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში დამსახურებისათვის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი შედეგებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ადასანიშნავად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სასწავლებელი დააჯილდოვეს სამახსოვრო დროშით და სამუდამოდ გადასცეს იგი როგორც საბრძოლო გმირობის სიმბოლო.

გუშინ, 28 ოქტომბერს სასწავლებელს საზეიმო ვითარებაში გადაეცა დროშა. სასწავლებლის უფროსი, მოედანზე ჩამწკრივდნენ ჯარისკაცები, სერჟანტები, ოფიცრები.

დროშის გადასაცემად მებრძოლებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მზავანაძე.

მასთან ერთად ტრიბუნაზე ადიან საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ლოლაშვილი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ი. სტეპაჩენკო, ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი დ. დრაგუნსკი, ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და სახოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გენერლები და ოფიცრები, სასწავლებლის XI წითელი არმიის ვეტერანები.

ვ. მძავანაძემ წაიკითხა დადგენილება სასწავლებლის სამახსოვრო დროშით დაჯილდოების შესახებ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით დროშა გადასცა სასწავლებლის უფროსს პოლკოვნიკ ა. იბნატოვს. ჭაისნის საბჭოთა კავშირის ბინის დიდებული მელოდია. ყველა დამსწრის მზერა მიმართულია ალისფერი აბრეშუმის დროშისაკენ, რომელზეც მოჩანს ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პორტრეტი.

თავის სიტყვაში ვ. მძავანაძემ მხურვალედ მიულოცა სასწავლებლის კურსანტებსა და ოფიცრებს მაღალი ჯილდო, უსურვა მათ ახალი წარმატებანი სწავლასა და სამსახურში საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მოუწოდა მებრძოლებს დაუცხრომლად აამაღლონ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ და ამრავლონ ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ გენერალ-მაიორი ა. ივასიკი, რომელმაც საბჭოთა არმიის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სარდლის სახელით მისასალმებელი ადრესი გადასცა სასწავლებლის უფროსს, სასწავლებლის კურსდამთავრებული, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნუბაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა. მათ ხაზი გაუსვეს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჯარის ნაწილებისა და სამხედრო სასწავლებლების დაჯილდოება სამახსოვრო დროშებით ახალი მკაფიო დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხი, პარტია და მთავრობა საბჭოთა მეომრების კეთილშობილურ საბრძოლო შრომას.

თავიანთ სიტყვებში სასწავლებლის უფროსმა პოლკოვნიკმა ა. იბნატოვმა და კურსანტმა მ. ბურნაზიმ აღუთქვეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, რომ სასწავლებლის მებრძოლები კიდევ უფრო ბეჯითად დაეუფლებიან საბრძოლო ოსტატობას, ფხიზლად იდგებიან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიულ მონაპოვართა სადარაჯოზე. (საქდესი).

რამდენიმე დღეღა რჩება საყოველთაო სახალხო დღესასწაულამდე — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავამდე. განსაკუთრებით სიხარულით ეგებებიან ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საიუბილეო შეჯიბრების გამარჯვებული კოლექტივები, ვის შრომასაც მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით დაჯილდოდა „წყალმშენის“ ტრესტის კოლექტივი.

28 ოქტომბერს დაბა ორხევში გაიმართა სამახსოვრო დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საზეიმო კრება გახსნა „წყალმშენის“ ტრესტის აღგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. გურგენიძემ.**

სიტყვა ეძლეგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **შ. ჭანუყვაძეს.**

ამხ. **ჭანუყვაძემ** გულითადად მიულოცა ტრესტის მუშებს, მოსამსახურეებს, სპეციალისტებს მთავრობის მაღალი ჯილდო — სამახსოვრო დროშა.

საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მთელი რიგი საქართველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა შესანიშნავ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს.

ამხ. **ჭანუყვაძე** მეეხო წარმატებებს, რომლებიც სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს უხვი მოსავლის მოყვანაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, და აღნიშნა, რომ ამაში დიდი როლი მიეკუთვნება მელიორატორებს, წყალსამეურნეო მშენებლობის მუშაკებს, კერძოდ „წყალმშენის“ ტრუსტის კოლექტივს, რომელსაც მიენიჭა სამახსოვრო დროშა — მამაცური შრომის სიმბოლო.

საიუბილეო შეჯიბრების გამარჯვებულებთან

ამხ. **ჭანუყვაძემ** გამოთქვა რწმენა, რომ სამახსოვრო დროშა, რომელიც „წყალმშენის“ ტრესტის კოლექტივს გადეცემა სამუდამოდ, მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის, ახალ სარწყავ სისტემათა მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის.

ტაშის გრიალში ამხ. **ჭანუყვაძემ** სამახსოვრო დროშა გადასცა „წყალმშენის“ ტრესტის მმართველს **შ. გიორგაძეს.**

კრებაზე გამოვიდნენ № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსი **ვ. ხურცილავა,** № 9 სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი **მ. ცისკარიშვილი,** მემონტაჟე **ნ. ბოკუჩავა.**

„წყალმშენის“ ტრესტის კოლექტივს მაღალი ჯილდო მიულოცეს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა **გ. ქობულიამ,** „კოლხეთმშენის“ ტრესტის მმართველმა **დ. ქვატაშიძემ,** საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ბეჟაურმა.**

კრების მონაწილეებმა დიდი აღფოთებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოსადმი, რომელშიც აღუთქვამენ, რომ მიღებული ჯილდოს პასუხად მეტი ძალღონით იშრომებენ კიდევ უფრო დიდი ამოცანების შესასრულებლად.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი,** სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. ღვინჯილია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ი. ლაღიძე.** (საქდესი).

დღეს კომკავშირის დაბადების დღეა, განსაკუთრებით საზეიმოდ აღნიშნავს ამ თარიღს დიდი ოქტომბრის სახელოვანი 50-ე წლისთავი - წინ ლენინური კომკავშირის მრავალმილიონიანი არმია.

ჩვენს სურათზე თქვენ ხედავთ ლენინური კომკავშირის აღზრდილთ — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს საუნბილეო მუშრომითი ვახტის მოწინავეებს, რომლებიც დიდი დღესასწაულის წინ მიღებულ იქნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. (მარჯვნიდან მარცხნივ): საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი უფროსი მვალცავი შ. მაღლაფერიძე, დგან 146-ის მვალცავი ზ. ფოცხვერაშვილი, გლინვის ოსტატი ვ. დუდკინი, შრომის ორგანიზაციის ბიუროს აღმრიცხველი ლ. ფირმანოვა და გამოყვანის ოპერატორი დ. ხმელიძე.

ფოტო ს. კილაძისა.

მეუდარ მოწინავეთა რიგებში

კომკავშირის დაბადების დღის გამო

29 ოქტომბერს ლენინური კომკავშირის დაბადების დღეა. 49 წლის წინათ გაიმართა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირის პირველი ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა კავშირის 22 ათასი წევრის სახელით გაანცხადეს, რომ კომკავშირი სრულ სოლიდარობას უცხადებს ბოლშევიკების პარტიას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. მეტრეველი საქდესის კორესპონდენტს ესაუბრა იმაზე, თუ რა წარმატებით ხვდება თავის ტრადიციულ დღესასწაულს რესპუბლიკის კომკავშირი.

— საქართველოს კომკავშირმა, — თქვა მან, — ბევრი ნათელი ფურცელი ჩაწერა სრულიად საკავშირო ალკკ ისტორიაში. ჩვენი რესპუბლიკის ბევრი წარმომადგენელი ვაჟკაცურად იბრძოდა სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, აქტიურად მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

ჩვენი ახალგაზრდობა ღირსეულად აგრძელებს საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, ერთგულია მისი გმირული საქმეებისა. ტრადიცია ახალგაზრდა ადამიანს ამდიდრებს გამოცდილებითა და ძალით, ეხმარება მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ურომლისოდაც მებრძოლი მებრძოლი არ არის. ამიტომ ასე მნიშვნელოვანია რევოლუციური ტრადიციების პროპაგანდის, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის ფორმები და მეთოდები. ეს ფორმები და მეთოდები განსაკუთრებით გამდიდრდა ამ ბოლო ხანს, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საქმიანი მზადება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები მართავენ ლენინურ საღამოებს, საუბრებს, ლექციებს, შეხვედრებს ძველ ბოლშევიკებთან, საბჭოთა სიმღერის აქტიური პროპაგანდისათვის; მოკმახეკე **ლ. ნ. გოლოვნიც

** — ქანდაკების „ორლიონოკის“ — ოქტომბრის რევოლუციისა და ურალის სამოქალაქო ომის გმირ კომკავშირელთა ძეგლის შექმნისათვის; მხატვარ **გ. ე. კროლისს** — საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ გრაფიკულ ნამუშევართა სერიის შექმნისათვის; მოსკოვის პიონერთა საქალაქო სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს **ვ. ს. ლოკტევს** — მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში დიდი მუშაობისათვის; პოეტ **ოლეას სულიმენოვს** — ლექსების წიგნისათვის „აისი“; კომპოზიტორ **მიქის თეოდორაკისს** (საბერძნეთი) — მამაცობისა და თავისუფლების სიმღერებისათვის, რომლებიც ახალგაზრდობას ჩაგვრის, ფაშიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად მოუწოდებენ; მევიოლინე **ვ. ვ. ტრტიაკოვს,** მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს, — საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისა და საერთაშორისო და სრულიად საკავშირო კონკურსებზე გამოჩენილი მაღალი ოსტატობისათვის; კომპოზიტორ **ბ. ფილიპ ეერარს,** პოეტ **ეან დრეეკს** (საფრანგეთი) — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმღერის „ოქტომბრის“, აგრეთვე თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ფრანგ მშრომელთა ბრძოლის შესახებ სიმღერების ციკლის შექმნისათვის; **ბრესტის ბელორუსიის ლენინური კომკავშირის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრს** — სპექტაკლისათვის „ბრესტის სიმაგრე“; **უზბეკეთის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს „ბახორს“** — საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობისა და საბჭოთა ხელოვნების პროპაგანდისათვის. (საქდესი).

საიუბილეო ფაფარი

29 ოქტომბერს ლენინური კომკავშირის დაბადების დღეს, 49 წლის წინათ, ალმაცერ ალმაფრენილ ბიჭებ-გოგონებს ხელ-ფეხ-ბაგეებ-ბაგეებ-ბაგეებ

ოქტომბრის მზის ქვეშ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაგულ გურიაში

ანრი ბარბიუსის კვალდაკვალ

სახელოვანი ფრანგი მწერალი, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი ანრი ბარბიუსი საბჭოეთის მიწაწყალს ორჯერ ეწვია. პირველად სტუმრობისას საქართველოც მოინახულა, რადგან ცა ფირუზ-ხმელეთ ზურმუხტ ოვერთა მხარეზე მას სამშობლოშიც ბევრი რამ გაეგონა.

ეს იყო 1927 წელს. საქართველოში ნანახმა და გაგონილმა მას შთააგონა ნარკვევთა წიგნი „აი, რა უყვეს საქართველოს“, რომელიც არისტო ჭუმბაძემ გადმოაქართულა.

რა იყო ამ ოთხი ათეული წლის წინათ საქართველო? ეკონომიკით იგი ბევრად არაფრით განსხვავდებოდა რევოლუციამდელი საქართველოსაგან. მის ეკონომიკაში ის იყო ისახებოდა ახალი სოციალისტური ძვრები. მთავარი, რაც მაშინ საბჭოთა საქართველოში იგრძნობოდა, ეს იყო ის იდეალები, რითაც განიმსჭვალა ჩვენი ხალხი, შეიძლება ითქვას, ცარიელი ხელით რომ შეეჭიდა ახალი საქართველოს შენებას.

ანრი ბარბიუსს ორმოცი წლის შემდეგ რომ კვლავ გაეგლო თავის ნაკვალევზე, ახლა, როცა საბჭოეთის ქვეყანა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ასე შთაგონებით ემზადება, რას ახილავდა იგი? სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს ეურნალისტის ჩანაწერები.

□ □ □

ნეტავ, სადა ვართ? საფრანგეთი შორსაა. არც რუსეთია ახლოს. საქართველოში ვართ, შუაგულ გურიაში, — იანეულში.

ანრი ბარბიუსი.

ახლაც, ამ შებინდებისას, ისე როგორც მაშინ, ამ ორმოციოდე წლის წინათ, იანეულელებს თავი მოეყარათ სუფსის ხეობაში გაბრიელ თოდრიას ოჯახში. „ჩინებულს დარბაზში ვისხედით მაგიდას იდაყვდაყრდნობილი. საამო სანახაობა იყო, მოსვენებითა და დაისის ბინდით აღვსილი“. მაგიდის შუაგულს აღარ იდგა ნავთის ლამპარი, კუბისტური სურათივით თეთრად და შავად რომ აჭრელებდა იქაურობას.

ის ნავთის ლამპარი, რომელიც შემთხვევით შემოინახა ამ ოჯახში, და მაშინ მაგიდის შუაგულში იდგა, უკვე ძვირფასა რელიკვიაა, იმ დროის სახსოვარი, როცა ფრანგი სტუმარი აქ იყო. ახლა თვალისმომჭრელ თეთრ სუფრას ელხაურებიანი ჭიღი დაჭაჭანებს და ხელიდან ხელში გადადის დიდი მწერლის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი. ინდუსტრიული პეიზაჟით დასურათებულ წითელუყდიან წიგნს „აი, რა უყვეს საქართველოს“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ხალისით ათვალიერებენ იანეულელები.

ნარკვევთა წიგნი იანეულით იწყება. ჩვენც ამ ჩანაწერებს ამით ვიწყებთ და მწერლის შთაბეჭდილებებს კვალდაკვალ მივყვებით...

„ჩაისა და ვახშმის მოლოდინში, ტიხარს იქით რომ შინინით ბზადდებოდა, ყველანი, ამ წუთის მასპინძლებიც და ერთი საღამოს სტუმრებიც“, ვბაასობთ გუშინდელ დღეზე, რომელიც ასე ნათლად დაგვიხატა მან, განვლილ გზაზე, რომელიც მეტწილად ძლიერ მძიმე იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაოდენ წარმატებებით ვხვდებით დიად თარიღს. იანეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა მეგრელიშვილს, სიტყვაკვირ, მაგრამ გულწრფელ კაცს, ამ წინასაიუბილეო საუბარზე მოუწვევია მოსაზღვრე სოფლებია წარმომადგენელნი — ქვემოგურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პიმენ უკმაჯურიძე, ბუკისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომან ვაჩეიშვილი და სხვები. ერთი სიტყვიერ, ყველაფერი ისეა, როგორც მაშინ.

საუბარი ამ წიგნით აღძრულ საკითხთა რკალს არ სცილდებოდა.

— რა მშვენივრად არის თქმული, — დაარღვია წუთიერი სიჩუმე ჩვენლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ალექსანდრე თოდრიამ.

„ოთხი საათი ვიარეთ ცხენით, — კითხულობდა იგი „აი, რა უყვეს საქართველოს“, — ხორხებსა და ბნელში, სანამ აქ მოვიდოდით. იმ წუთიდან, როცა ანაზდად შეყრილ ხალხს ცხენიდანვე მივესალმეთ, ხეობანი და ჭალები ბინდმა თვალის დახამხამებამდე მოიცვა. თითქმის ფანტასტიკური იყო ეს დამური მგზავრობა ძარღვიანის მთიური ცხენით: უნაგირს დასკუპული სავსებით მინდობილხარ ამ ცოცხალ მოტორსა და ეხსაობ... შემდეგ თვალდახუჭულივით ჩამოგიარეთ საშინელი დაღმართები, რომელთა ნაპირას უეცრად შეეხეწრდებოდით ხოლმე უნაგირზე და ცხენის მოძრაობას ვაყოლებდით ჩვენი სხეულის მიმოხვრას; გავიარეთ ღრანტეები და ხრამები, გავფოფინეთ ჩქარი ხევები, სიბნელის გამო რომ თვალით არ დაგვინახავს, თუმცა გარკვევით გეგესმოდა მათი აქაფებული შხეილი. და, ბოლოს, როცა ამ განათებული სახლის წინ ჩამოვხდით, გვარიანად დაღლილნი და ფეხებგაფშვეკილნი ვიყავით.

ნეტავ, სადა ვართ? — აწეული ხმით განაგრძო კითხვა ალ. თოდრიამ, — საფრანგეთი შორსაა. არც რუსეთია ახლოს. საქართველოში ვართ, შუაგულ გურიაში, — იანეულში“.

ოთახში დაძაბული ვითარება უკანასკნელმა სტრიქონებმა შეამსუბუქა. ზოგიერთმა ამოოხვნეშა კიდეც... ჯინების თვალი მოწყვეტა წარსულს და წუთით ყველანი აწმყოში აღმოჩნდნენ... იმ „უსწრმასწორო გზებზე“, „საშინელ დაღმართებზე“ ახლა ასფალტი დაგებული და მხოლოდ ხელოვნურმოტორიანი მანქანები დასრიალებენ. ცოცხალმოტორიანი არსებანი ახლა ბავშვთა ღიმილსა კი ეწვევენ ამ კუთხეში. იმ გზებს ახლაც განუმეორებელ ჩუქურთმად ახლავს ღრანტეები და ხრამები, ჩქარი ნაკადულები. ეს ხომ განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს გურიას. მაგრამ მგზავრს აქ უკვე აღარ დაჭირდება „ჩქარი ხევების გაფონვა“, ისინი კოხტა მოაჯირიან რკინაბეტონის ბოგირებს და ხიდებს დაუოკებიათ, უნაგირივით რომ ჩამჯდარან ამ ხეობებში.

იმ საღამოს, ამ ორმოცი წლის წინთ, ბევრი ახალი რამ გაიგო ანრი ბარბიუსმა იანეულელების, ერკეთლებისა და სხვათაგან. ყველაფერი ეს აღიბეჭდა ამ წიგნში.

დიახ, ბევრი მზიანი და ავდრიანი დღეები დამდგარა საქართველოში, დიდვაის ცვლილდა დაქვეითება და, პირიქით...

და აი, ოქტომბრის ნათელი სხივი დაეცა ქართულ მიწაწყალს. სოფლად კოლექტიური შრომის დამკვიდრებამ შეუცვალა გურიის პეიზაჟს ტრადიციული იერი. ხვავი შემოვიდა საკოლმეურნეო სოფელში. ამაზე ბარბიუსის ნარკვევებში არაფერი თქმულა, მაგრამ იმ ჭეშმარიტად ისტორიულ გარდაქმნებზე, რაც გამოიწვია ფრანგი მწერლის მოგზაურობის შემდეგ მოხდა აქ, საუბრის მონაწილეებმა ცოტა როდი ილაპარაკეს. ისე როგორც მაშინ, ამ ორმოცი წლის წინათ, ფიცხელი საუბარი ჰქონდათ მათ საქართველოს დღეგანდელ დღეზე, კეთილ იმაზე, თუ როგორ ასრულებს თვითეული კოლმეურნე საიუბილეო ვალდებულებებს. სათქმელი კი მათ ბევრი აქვთ, ძალიან ბევრი...

— ცხადია, თვითეული ჩვენგანის გული აღსავსეა მადლობის გრძნობით, — თქვა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ჭოლა მდინარაძემ, — ჩვენი ქვეყნის მეგობარი ფრანგი მწერლისადმი. მას რომ დღევანდელი იანეული ენახა, თავის მადლიანი კალამს არ დაამადლიდა ჩვენი მხარის კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების აღწერას.

საუბარში 76 წლის გაბრიელ თოდრია ჩაერია. სწორედ მის სახლში მოხდა პირველი შეხვედრა ბარბიუსთან და სამუდამოდ დაამახსოვრდა ის საღამო, რაც ასე საამოდ გაატარა მან.

— სოფლის ერთადერთი დაწესებულება მაშინ იყო ოთხწლიანი სკოლა ორი თუ სამი მასწავლებლით, — თქვა მან. — ეს იყო და ეს. გლეხს თავის საკუთარ ნაკვეთზე მოჰყავდა სიმინდი, ცოტაოდენი ხილი და ამით ამოიწურებოდა, რომ იტყვიან, მისი ავლადიდება. ახლა რვაწლიანი სკოლა გვაქვს. სულ მალე დამთავრდება სკოლის ორსართულიანი ქვაკირის შენობა. არის კოლმეურნეობის კანტორის, კლუბის, მაღაზიის, საექიმო პუნქტისა და ბანაოს შენობები. ჰოდა, ჩემო ბიძია, იანეულის ოდა-სახლებს შეხედეთ. ის ოდა, რომელშიც ფრანგმა მწერალმა გაათია ღამე, უკვე აღარ არის. მის ადგილას ეს ორსართულიანი დიდი სახლი ავაგეთ. გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ამჟამად იანეულის ყოველი კოლმეურნის ეზოში ახალი ოდა-სახლია წამოჭიმული.

მოხუცი შეჩერდა. ყველას თვალი გადაავლო და მზერა კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე შეაჩერა. თითქოს რა უნდა ეთქვა ახალი შოთა მეგრელიშვილს, მაგრამ როცა მან მეტად სერიოზული ტონით დაიწყო, რომ მაშინდელი გურიის ჩაის პლანტაციების მეზეთედზე მეტს ახლა ფლობს იანეულის კოლმეურნეობა, ყველა მას პირში შეაჩერდა. დასამტკიცებლად მან გადაშალა „აი, რა უყვეს საქართველოს“ მეათე გვერდი და ამოიკითხა: გურიაში... ასეოდე ჰექტარი ჩაი ყოფილა იანეულის კოლმეურნეობას კი ამჟამად 23 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს. ამას ემატება ვენახი, სასიმინდე ფართობები, ხილი, ბრინჯში, პირუტყვი.

შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. კოლმეურნეთა ხელმძღვანელები, ბრიგადირები გულწრფელად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთი ბეჯითი შრომის შედეგებს... მაგრამ ისა სჯობს გამოვიდეთ ამ ჭერიდან და საკუთარი თვალით შევხედოთ, თუ როგორ მოქარგა გურიის მთა-ველი კოლმეურნე გლეხის გამრჯე მარჯვენამ.

...მძღოლმა „ვილისი“ ოთხი გზის გასაყართან შეაჩერა. იქით აუჩქარებლივ მიედინება სუფსა, რომელსაც ახლადაშენებული ხიდი ჰკვეთს.

— აი სწორედ აქ მოხდა შეხვედრა ფრანგ მწერალთან, ამბობს ერკეთელ კოლმეურნეთა თავკაცი პიმენ უკმაჯურიძე. ოზურგეთიდან ცხენზე ამხედრებული მოდიოდა ანრი ბარბიუსი, რომელსაც თან ახლდნენ სილიბისტრო თოდრია და თარჯიმანი. სხვებთან ერთად მათ შეეხვედით ჩოხატაურის საშუალო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლენი. მახსოვს, კარგი ამინდი იყო. მოწმენდილ ცაზე მზე გადახრილიყო და სხივები თვალებში ხედებოდა სტუმარს.

— ბოდიში, რომ დაგიგვიანეთ, — ბოდიშობდა ფრანგი მწერალი, — მაგრამ გურია ისე ლამაზი ყოფილა, რომ მოგაჯადოვა ამ თვალწარმტაცმა მხარემ, გაგვიგრძელდა გზა.

ეს გზა ოზურგეთ-ჩოხატაურის გზა იყო ნასაკირალის უღელტეხილით.

მცირე დაყოვნების შემდეგ მხედრებმა გზა იანეულისაკენ განაგრძეს, დამხვდურები კი დაიშალნენ.

...ბორნების თვალით მეც აღმოვჩნდი შემხვედრთა შორის. ბარბიუსი, ცხენზე ამხედრებული, გურიის მთა-ბარით მოიბიდული, გადაყურებს სუფსის ხეობას. აღფრთოვანებულია ეკერთა მხარის პირველი ხილვით, ბონებში აღიბეჭდავს ამ გრძელი გზის ყველა ვნრილმანს.

ამ ბედნიერი შეხვედრიდან სულ რაღაც რვა წლის შემდეგ, საბჭოეთში მეორედ ჩამოსვლისას, 1935 წელს მოულოდნელად შეწყდა მწერლის მგზნებარე. ჩვენს ქვეყანაზე შეეყარებული ელი. კარგად მახსოვს, მოსკოველებთან ერთად მეც, ქურნალისტიკის ინსტიტუტის სტუდენტი, უკანასკნელ გზაზე გაცილებდი ფერფლად ქცეულ სასწელოვანი მწერლის ცხედარს თავის საშობლოში... მან სამუდამოდ თან წაიღო საქართველოს კვლავ ხალვის გულწრფელი სურვილი.

— განვაგრძოთ გზა, — ამ სიტყვებით ფიქრებიდან გამოიყვანა პიმენმა, და შევუდექით ერკეთის აღმართს.

ჩვენ შევჩერდით კოლმეურნეობის კანტორის წინ. აქვეა მოთავსებული კლუბი 350-ადგილიანი, გემოვნებით კედლებმოხატული დარბაზით. ამ მშვენივრ სასახლეს ბევრი ქალაქი

(ბოლოს 2-ე გვ.)

(ბოლოს 2-ე გვ.)

საიუბილეო გამოფენა

გსურთ ნახოთ საქართველო?

ოქრომსფერი შემოდგომაა თბილისში. ჯერ კიდევ მცხუნვარე მზე უხვად ეფენება დედაქალაქს. ყველგან იგრძნობა წინასაღლესასწაულო განწყობილება. ხარაჩოები ეხსნება ახალ ნაგებობებს, ირთვება, იკაზმება ჩვენი თბილისი.

საზეიმო განწყობილება სუფევდა 25 ოქტომბერს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აქ მოვიდნენ დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკები ახალი, საიუბილეო ექსპოზიციის გასაცნობად, ექსპოზიციისა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

გამოფენის დათვალიერებით შეგიძლიათ ერთგვარად იმოგზაუროთ ჩვენს რესპუბლიკაში. აქ ხომ მინიატიურული ფორმით წარმოდგენილია საქართველოს მიღწევები რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ნაჩვენებია ქართული მიწის ბარაქა.

სულ ათი წუთი ეთმობა სპეციალურ ფილმს „საბჭოთა საქართველოს“, რომელსაც პავილიონის ფართო ეკრანზე გიჩვენებენ. უცხო სტუმარი თვალნათლივ დაინახავს ჩვენს ლამაზ ქვეყანას, იმ საწარმოებისა და ველ-მინდვრების პროდუქციას, რომლებსაც შემდგომ გამოფენის დარბაზებში გაეცნობა.

ყურადღებას იქცევს თბილისის დიდი ფოტოპანორამა. ახე გგონიათ ოთახის სარკმლიდან გასცქერით საყვარელი დედაქალაქის ხედებს. სწორედ ასეთმა ფოტოპანორამამ მოხიბლა ალეერისა და მონრეალის საერთაშორისო გამოფენაზე მოსული უამრავი საზღვარგარეთელი სტუმარი.

რესპუბლიკის სიამაყე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, გამოფენის ვრცელი პავილიონის დარბაზები მოგვითხრობენ ქართველ მეცნიერთა ნააზრევსა და ნამოღვაწარზე, რომლებმაც მორს გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანას. აქ არის აკადემიის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ნამუშევრები. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: აი ამასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მსოფლიოში უდიდესი ტექნიკური ტელესკოპის ფოტოსურათი. მნახველი ეცნობა გეოფიზიკური ინსტიტუტისა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შექმნილ რაკეტების მაკეტებს. ამ რაკეტებით ფანტავენ სეტყვის წარმომშობ ღრუბლებს და იცავენ ბუნების სტიქიისაგან 360 ჰექტარ მიწას ალაზნის ველზე.

თეთრ, დაბალ სტენდზე აწყვია მატყლის მსგავსი ქსოვილი, მას ზემოდან ადევს ბაზალტის ქვა. ეს შემთხვევით როდია. სწორედ ამ ბაზალტის ქვის დამუშავებით არის შექმნილი ეს ქსოვილი, რომელიც გამოიყენებას ჰპოვებს მშენებლობაში. ექსპონატი გამოფენაზე წარმოადგინა მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტმა.

ახე თანდათანობით მიჰყვებით დარბაზს, და თქვენს თვალწინ ისლება საქართველოს მეცნიერ მუშაკთა მიერ შექმნილი ახალი მანქანები, დანადგარები, რომლებიც ფართოდ ინერგება ჩვენს საწარმოებში.

გამოფენის შემდგომი დარბაზი ეთმობა ჩვენში სახალხო განათლებას. ამ მხრივ ბევრი რამ აქვს საამაყო ჩვენს რესპუბლიკას. დიაგრამები, ფოტოსურათები, მაკეტები მოგვითხრობენ საქართველოს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მიღწევებზე განვლილ წლებში. ექსპონაცია გვაცნობს საქართველოში ეროვნული კულტურის აღმავლობას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

ნათელ, შემინულ პავილიონში უხვად იფრქვევა მზის სხივები. აქ ექსპონირებულია საქართველოს მანქანათსამშენებელო, ლითონდასამუშავებელი და ხელსაწყოთსამშენებლო საწარმოების მანქანები, დაზგები.

ცალკე პავილიონი აქვს დათმობილი საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას. გულს ახარებს ქართული მიწის ბარაქა. ექსპოზიცია ისეა განლაგებული, რომ ნაჩვენებია ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ის ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს ჩაის, ყურძნის, ხილის მოყვანაში, და მეორე მხრივ საქართველოს ტექნიკური ტელესკოპის ფოტოსურათი. მნახველი ეცნობა გეოფიზიკური ინსტიტუტისა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შექმნილ რაკეტების მაკეტებს. ამ რაკეტებით ფანტავენ სეტყვის წარმომშობ ღრუბლებს და იცავენ ბუნების სტიქიისაგან 360 ჰექტარ მიწას ალაზნის ველზე.

თეთრ, დაბალ სტენდზე აწყვია მატყლის მსგავსი ქსოვილი, მას ზემოდან ადევს ბაზალტის ქვა. ეს შემთხვევით როდია. სწორედ ამ ბაზალტის ქვის დამუშავებით არის შექმნილი ეს ქსოვილი, რომელიც გამოიყენებას ჰპოვებს მშენებლობაში. ექსპონატი გამოფენაზე წარმოადგინა მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტმა.

ახე თანდათანობით მიჰყვებით დარბაზს, და თქვენს თვალწინ ისლება საქართველოს მეცნიერ მუშაკთა მიერ შექმნილი ახალი მანქანები, დანადგარები, რომლებიც ფართოდ ინერგება ჩვენს საწარმოებში.

გამოფენის შემდგომი დარბაზი ეთმობა ჩვენში სახალხო განათლებას. ამ მხრივ ბევრი რამ აქვს საამაყო ჩვენს რესპუბლიკას. დიაგრამები, ფოტოსურათები, მაკეტები მოგვითხრობენ საქართველოს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მიღწევებზე განვლილ წლებში. ექსპოზიცია გვაცნობს საქართველოში ეროვნული კულტურის აღმავლობას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

ნათელ, შემინულ პავილიონში უხვად იფრქვევა მზის სხივები. აქ ექსპონირებულია საქართველოს მანქანათსამშენებელო, ლითონდასამუშავებელი და ხელსაწყოთსამშენებლო საწარმოების მანქანები, დაზგები.

ცალკე პავილიონი აქვს დათმობილი საქართველოს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას. გულს ახარებს ქართული მიწის ბარაქა. ექსპოზიცია ისეა განლაგებული, რომ ნაჩვენებია ერთი მხრივ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ის ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს ჩაის, ყურძნის, ხილის მოყვანაში, და მეორე მხრივ საქართველოს ბიუ ნახელავს გაეცნობიან სპეციალურ პავილიონში. აქ ნახავთ მეტროს სადგურების ფოტოსურათებს, გვირაბშენებელთა პორტრეტებს, საქართველოს ხალოროექტო ინსტიტუტებში დამუშავებულ ახალ ნაგებობათა ფოტოსურათებს, პერსპექტიულ მშენებლობათა მაკეტებს.

გამოფენაზე ფართოდ არის ნაჩვენები საქართველოს ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობა. მოგეწონებათ თბილისური ავეჯი, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნები.

გამოფენის ღია მოედნებზე ნახავთ დიდ კონვეიერებსა და მანქანებს, ეს სახელგანთქმული ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ტრაქტორი „რიონი“ თავიანი მისაბმელი მოწყობილობით, ქუთაისის ორჭონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ახალი მანქანები — ავტოსაწევარი „ეაზ-608“ და ორლერძიანი ნახევრადმისაბმელი, ფერდობზე მოსაშუავე მოდიფიცირებული ტრაქტორი და სხვ.

გამოფენაზე სულ 10.000-მდე ექსპონატია წარმოდგენილი. ყველა მათგანის ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შორს წაგვიყვანდა. უმჯობესია ისინი დამთვალიერებელმა თავისი თვალით ნახოს.

ამთავრებო გამოფენის დათვალიერებას და არ შეიძლება არ დაახასიათოთ გამოფენის ექსპოზიციის მხატვრული გაფორმების ავტორები. გამოფენის მთავარი მხატვარია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. მამალაძე, ექსპოზიციის მხატვრული გაფორმება შეასრულეს ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მუშაკებმა.

კიდევ უფრო ლამაზია გამოფენის ტერიტორია ღამით, როცა ათასფერი ნეონის ნათურების შუქი უხვად იფრქვევა პავილიონებსა და მათს შესასვლელებში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა საიუბილეო გამოფენა დამთვალიერებლებს ელის.

ლ. ხუბულური.

დიდი გარჯის ნაყოფი

ფალკური კარტოფილი თბილისსა და რუსთავში

ამ დღეებში პარტიის რაიკომში დიდი გამოცოცხლებაა. აქ მოდიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათ აძლევენ ინსტრუქციებს, მითითებას, დავალებას. ამას გარდა, პარტიის რაიონული კომიტეტი საანგარიშო დაჯგეს მუშაკებსაც იწვევს. ამჟერად პარტიის წალკის რაიკომის პირველ მდივანს **ა. მაყროს** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ ბუხჰალტრებთან ჰქონდა საუბარი.

მრავალ საკირბორტოტა საკითხზე გაიმართა აქ სხვაგანაი. და ეს შემთხვევითი არც არის, ახლა, როცა წალკის რაიონში წყდება კარტოფილის ნათესავლის ოდენაკარგად აღებისა და ამ პროდუქტით თბილისისა და რუსთავის მესახლეობის უზრუნველყოფის საკითხი.

კარტოფილის მოსავლის აღებას წალკის რაიონში მესობრივად 1 ოქტომბრიდან შეუდგნენ. პირველ დღეებში სამუშაოდ გამოფიოდა 9-10 ათასი კაცი. აღვამად კი ყოველდღიური გამოსვლა 17-18 ათასი კაცით განსაზღვრება.

რესპუბლიკაში კარტოფილის წარმოებაში წალკის რაიონს დადამჭყვარტი ადგილი უჭირავს. ცნობილია ის ფაქტი, რომ რუსეთიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის მოყიდვის საერთო გეგმის 40 პროცენტაჟდე წალკის რაიონზე მოდის. წალკის რაიონმა წელს სახელმწიფოს გეგმით უნდა მიჰყიდოს 15.710 ტონა კარტოფილი. ვალდებულება კი ოთხ მეტს — 17.000 ტონას ითვალისწინებს. მაგრამ წალკელები პირობას დებენ, რომ წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 20.000 ტონამდე კარტოფილს. ეს მათი სოციალისტურ საჩუქარი იქნება.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს იმისათვის, რომ წალკაში ოდენაკარგად იქნას აღებული კარტოფილის მოსავალი. მაგალითად პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით წალკაში სამუშაოდ წავიდა 800-მდე სტუდენტი პოლიტექნიკური და ზოოვეტერინალური ინსტიტუტებიდან, კოოპერაციული და პოლიტექნიკური ტექნიკუმებიდან და პროფტექნიკური სასწავლებლებიდან. შეიქმნა მოსავლის ოდენაკარგად აღების ოპერატიული შტაბი.

მინდვრად გასულ მშრომლებს კარგ მომსახურებას უწევენ თბილისის მარკეტნა ნაპირის სასადილოების ტრესტი (მმართველი **ი. ბუხრაშვილი**). ამ ორგანიზაციამ აქ გახსნა სასადილოები და სამუშაოდ გაგზავნა კვების ნუშაკთა საკავშირო წარმომადგენლები. მათ შორის აღსანიშნავია მზარეული **ა. ორდენიძე**, რომელიც ამას წინათ წარჩინებული მუშაობისათვის **შრომის წითელი დროშის ორდენით** იქნა ჯილდოვებული. სანმეშოდ მოაწყეს სტუდენტთა კვების საქმე სასადილოს გაძღვა **ნ. დუგლაძემ** და მებუფეტი **ზ. ორდენიძემ.**

კარგად მოაწყო კარტოფილის გადაზიდვა მეხილეობა - მებოსტნეობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ (უფროსი **ბ. საყვარელიძე**). ყოველდღიურად 150-200 მანქანა ეზიდება პროდუქციას თბილისისაკენ. ახლა თბილისის მიდამოებში ეზიდება 700-750 ტონა წალკური კარტოფილი იყიდება.

კარგად დაადგენ მუშაობა სოფელ აშაკალის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე **მ. ხეროიანი**). მან უკვე ჩაბარა სახელმწიფოს 750 ტონა კარტოფილი, ელოდებულება კი 680 ტონას ითვალისწინებდა. მოსავლის აღება კვლავ გრძელდება.

392 ჰექტარი კარტოფილი აქვს ავრანლოს მერძელეობა - მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას. აქაური მშრომელებს თავიდანვე ბეჯითად უმოშავნიათ. თვითეულ ჰექტარზე იღებენ 14-15 ტონა კარტოფილს ნაცვლად 10 ტონისა.

მეკარტოფილეობა ჩვენი მეურნეობის წამყვანი დარგია,— ამბობს მეურნეობის დირექტორი **მ. ანანეიანი.** ბოლო შემოსავლის 50 პროცენტი სწორედ ამ კულტურაზე მოდის.

ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა გამოსულა სოფელ ჯინისის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში კარტოფილს აღებაზე. წელს კარტოფილმა განსაკუთრებით კარგად - იხარა. 170 ჰექტარზე უკვე აიღეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 400 ტონა კარტოფილი. მაგრამ კიდევ 300 ტონას ჩაბარებენ, სათესლედ კი ამზადებენ 500 ტონამდე კარტოფილს.

— მაინც ვიტყვ ეჭვიერობს ყველაზე ბეჭდავ ამ გადამწყვეტ დღეებში? — ეკითხებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **რ. ხრისტიანოვს.**

— ნაბინეს მაობს ამბა რა გამოლეგეს, — ამბობს თავმჯდომარე და მექანიზატორებიდან ასახელებს **ა. მანელოვს,** ხოლო ბრიგადირებიდან **გ. ბულუდოვს.**

წელს კარტოფილის უხვ მოსავალს იღებს ეკრეთვე ბეზმაშენის ნერძიკეობა -მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი **კ. მურადოვი**). ჯერ აქ მხოლოდ 1.600 ტონა კარტოფილი აქვთ ჩაბარებული, კიდევ ამდენსაც ჩაბარებენ.

იმ დღეს ოპერატიულ შტაბის წევრებმა მთელი რაიონი შემოიარეს და პირადად შეამოწმეს წინა დღეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიცემული ადგილების შესრულების მიმდინარეობა. შედეგები კარგი იყო.

ამ დღეებში თბილისში მზე აციხერებს. თბილა. წალკაში კი სამეთოდ აცივდა. ამიტომ წალკელები ჩქარობენ, ენერგიულად შრომობენ, რათა დროზე აიღონ კარტოფილის უხვი მოსავალი. ახლა ყოველდღიურად თბილისსა და რუსთავს ეზიდებიან ბარდიება ასობით ტონა სტანდარტული კარტოფილი.

ბარაქალა თქვენს გარჯას, წალკელო მეკარტოფილეებო!

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

კარლო კალანდაძე.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობა ამ დღეებში დაჯილდოეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით. პირველ სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ) თქვენ ხედავთ ბობოყვათის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ქ. გოგიტიძეს, მეჩაიე ბ. თხილაიშვილს, ბრიგადირ მ. კონცელიძეს და მეჩაიე მ. ქამალაძეს. მარჯვნივ სურათზე აღბეჭდილია საკავშირო სამახსოვრო დროშის მფლობელის, წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ცხვრის ფარა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ოქტომბერი და ჩვენი ვლანეტა

ეძღვნება დიდ იუბილეს

ვარშავა. პოლონეთის ქალაქ ზაბკეში გაიმართა საბჭოთის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებანი სილეზიის მუშათა მოძრაობის განვითარებაზე დიდი ოქტომბრის გაკულებისა და სილეზიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ტრადიციების შესახებ.

„ოქტომბრის რევოლუცია მხატვრულ ლიტერატურაში, მემუარებსა და მოგონებებში“ — ასე ეწოდება საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კრებულის გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილია დიდ ოქტომბერთან თემატურად დაკავშირებული ასობით წიგნი, რომლებიც მთელი მსოფლიოდან გამოგზავნეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის გამო პოლონელ სტუდენტთა გაერთიანებამ, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ და ვარშავის ვ. ი. ლენინის მუზეუმმა გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო პოემისთვის „ახალი საუკუნე“.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. სოფიის ელექტროკარის ქარხნის პროდუქცია ცნობილია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი მისი ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია. ამ დღეებში ქარხანაში გამოშვებულ იქნა 'მე-50.000 ელექტროკარი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 50-ე წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის მუშაკებმა ეს ელექტროკარი. საჩუქრად გადაცეს შავი ზღვის ნავსადგურ ილიჩევსკის მუშაკებს.

სურათზე: საუბილეო ელექტროკარი მზად არის საბჭოთა კავშირში გასაგზავნად.

ფოტო ბტა-ახალი ამბების სააგენტოსი.

უარღვევი მეგობრობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართული სოციალისტური შეკრებრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყვეს თავიანთი გულითადი უარღვევი მეგობრობა, ძმური ერთობა კომუნისტების მშენებელ ხალხთან, სახელოვან საბჭოთა ხალხთან, ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა, რომელიც გამოვიდა დარბაზობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშნებით დაჯილდოვეს რესპუბლიკის საწარმოო კოლექტივთა ჯგუფი ჩინებული მაჩვენებლებისათვის ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მუშათა კლასის საბრძოლო ტრადიციული ამბანაგობა საფუძვლად უდევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებს, რომლებიც ძმური სოციალისტური თანამშრომლობის ნაყოფია.

ვ. ულბრიხტმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იყენებს საბჭოთა კავშირის ძვირფას გამოცდილებას სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. თავისთავად ცხადია, აღნიშნა მან, რომ ამ გამოცდილებას ვიყენებთ ჩვენი განვითარების პირობების შესაბამისად. მაგრამ ყოველივე, რასაც ჩვენ ვსწავლობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, სსრ კავშირისა და საბჭოთა ხალხისაგან სოციალიზმის მშენებლობის დროს, ფუძემდებელია. საბჭოთა კავშირის გამოცდილებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

კარლ მარქსის „კაპიტალის“ გამოსვლიდან ასი წლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან 50 წლის შემდეგ, თქვა ვ. ულბრიხტმა, სოციალიზმის იდეა განხორციელებულია ავრეთვე გერმანულ მიწა-წყალზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი ამაყობს თავისი თავდადებული შრომით, ამაყობს, რომ შექმნა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რაც შემობრუნების პუნქტია გერმანიის ისტორიაში. (საკდესი).

ოქტომბერი და კომუნისტური მოძრაობა

პარიზი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს — გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქციამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით მოაწყო „მრგვალ მაგიდასთან“ შეხვედრების სერია, რომლებშიც მონაწილეობდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური და საბჭოგდო მოღვაწენი და მეცნიერები. ერთ-ერთ პირველ შეხვედრას დაესწრნენ მორის ტორეზის ინსტიტუტის აღმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარე ჟორჟ კონნო, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ჟან კანაპა და ყოველკვირეულ „ლუმანიტე-დიმანშის“ მთავარი რედაქტორი ანდრე კარელი. ეს შეხვედრა მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობას საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის.

„როცა ვლაპარაკობთ სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა გზაზე და იმაზე, რომ ახლანდელ პირობებში საფრანგეთს შეუძლია სოციალიზმზე გადავიდეს მშვიდობიანი გზით, — ხაზგასმით აღნიშნა ჟორჟ კონნომ,—არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალისტებმა განუზომლად გაძლიერდა, შეიძინა უდიდესი წონა მსოფლიო საქმეებში, იმიტომ, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში უაღრესად დიდად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჟან კანაპამ, რომელიც განსაკუთრებით შეეხო მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის საკითხებს.

ანდრე კარელმა, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ შეხვედრას, აღნიშნა, თუ რა ცოცხალი, შემოქმედებითი ხასიათი აქვს დიდი ლენინის მოძღვრებას.



კვიპროსის რესპუბლიკაში გრძელდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთთვიური, რომელიც მოეწყო კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების, სრულიად კვიპროსის შრომის ფედერაციისა და კვიპროსის შრომელი ხალხის პროგრესული პარტიის ინიციატივით.

კვიპროსის ერთ-ერთი უდიდესი სანავსადგურო ქალაქის ფამაგუსტის მუნიციპალიტეტის შენობაში გაიხსნა უკრაინის სს რესპუბლიკისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც ასახავს რესპუბლიკის მიღწეულებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. დამთვალიერებლნი დიდ ინტერესს იჩენენ გამოფენისადმი, თავიანთ შთაბეჭდილებებში მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა უკრაინის ხალხის მიღწევებს.

კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა ქალაქ ფამაგუსტის მერმა ანდრეას პუიუროსმა შეკრებილ კვიპროსელებს მიმართა სტატვით, რომელშიც მოუწოდა კიდევ

მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაული

მეტად განამტკიცონ მეგობრობა კვიპროსის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

□ **მონღოლეთი.** დედაქალაქის ულდეკ-ბაირის სახელობის კინოთეატრში ამ დღეებში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა ლიტერატურის გამოფენა. გამოფენის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ც. დუგერსურენი და დ. მაიდარი და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ნ. სოლოვეოვი.

გამოფენაზე წარმოდგენილია პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის 1.200-ზე მეტი წიგნის ნაბეჭდი, — ხაზგასმით აღნიშნა ჟორჟ კონნომ,—არ უნდა დავიიწყოთ, რომ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალისტებმა განუზომლად გაძლიერდა, შეიძინა უდიდესი წონა მსოფლიო საქმეებში, იმიტომ, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში უაღრესად დიდად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჟან კანაპამ, რომელიც განსაკუთრებით შეეხო მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის საკითხებს.

ანდრე კარელმა, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ შეხვედრას, აღნიშნა, თუ რა ცოცხალი, შემოქმედებითი ხასიათი აქვს დიდი ლენინის მოძღვრებას.

ოქტომბერი და ჩვენი ვლანეტა

შეგვიძლია განვუცხადოთ საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას, რომ ყველა კონტინენტის მშვიდობის ძალები ერთიანი ... ერთსულოვან მადლობას გიხდიან მშვიდობის მტკიცე და გონიერი პოლიტიკისთვის. მშვიდობის ძალებს წარმოდგენილ ... ბრძოლა დაამარცხებს შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში, უზრუნველყოფს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას, აღადგენს მტკიცე მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ხრიკებს ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამასთანავე უზრუნველყოფს ევროპის უშიშროებას.

მშვიდობის ძალებმა იციან, რომ ამ ბრძოლაში მათ შეუძლიათ იქონიონ საბჭოთა კავშირის იმედი.

მშვიდობის ძალები უძლეველია

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წერილი საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც ლენინგრადში შეიკრიბა, ზავის შესახებ დეკრეტის 50 წლისთავის გამო მხურვალედ მოგესალმებათ საბჭოთა ხალხის მთავრობასა და ხალხს, რომლებიც 50 წლის მანძილზე დაუცხრომლად ახორციელებდით თქვენს საგარეოპოლიტიკურ საქმიანობაში ამ დეკრეტის პრინციპებს.

50 წლის წინათ მშვიდობის საქმისადმი ერთგული და უამრავი ცრემლისა და სისხლის ამაოდ დაღვრის გამო განაწამები ყველა ადამიანი მიესალმა დეკრეტის გამოცხადებას, როგორც მთელი კაცობრიობის ახალი ერის დასაწყისს. დეკრეტი ზავის შესახებ ჭეშმარიტად რევოლუციური გადატრიალება იყო საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. იგი სახელმწიფოთა თანაარსებობის ძირითად პრინციპებს შეიცავდა.

თქვენ დაამტკიცეთ, რომ ხალხს, რომელმაც გამოაცხადა დეკრეტი ზავის შესახებ, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და ერთსულოვნად აღდგეს დამპყრობთა წინააღმდეგ.

თქვენ დაეხმარეთ ხალხებს მშვიდობისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში, დაადასტურეთ ისტორიის წინაშე, რომ შეიძლება ბოლო მოეღოს ომის შედეგებს და დამყარდეს კულტურული, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის.

თქვენ გამოიჩინეთ უაღრესი ერთგულება მშვიდობის საქმისადმი, მონაწილეობდით საზავო პაქტების დადებაში, გაარკვიეთ აგრესიის ცნება და წამოაყენეთ განიარაღების პროგრამა. ეს პროგრამა რომ განხორციელებულიყო, ხალხები თავიდან აიცილებდნენ მეორე მსოფლიო ომს.

თქვენმა ბრძოლამ მთელ ხალხებთან ერთად ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ შეცვალა მსოფლიოს ძალების თანაფარდობა მშვიდობის სასარგებლოდ.

თქვენ გამორიცხეთ თქვენი ქვეყნის ცხოვრებიდან ომის პროპაგანდა, განახორციელეთ ატომური გამოცდის შეწყვეტა და განიარაღების რეალური გეგმების ინიციატორები გახდით.

თქვენ ყოველთვის, როცა საყოველთაო მშვიდობას საფრთხე ემუქრებოდა, მტკიცედ და განუხრელად იღვწოდით და ცხადყავით ურყევი ერთგულება დეკრეტისადმი.

ეს დღეს შეიძლება დაადასტუროს ვიეტნამმა; ეს შეიძლება დაადასტურონ არაბმა ხალხებმა. ეს შეიძლება აგრეთვე დაადასტურონ მშვიდობისათვის მებრძოლმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის პროგრამა შესაძლებლობას აძლევს დაამყარონ ქმედითი თანამშრომლობა, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს ევროპის დაყოფას დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკებად.

დღეს ჩვენ შეგვიძლია განვუცხადოთ საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას, რომ ყველა კონტინენტის მშვიდობის ... ერთსულოვან მადლობას გიხდიან მშვიდობის მტკიცე და გონიერი პოლიტიკისთვის. მშვიდობის ძალებს წარმოდგენილ ... ბრძოლა დაამარცხებს შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში, უზრუნველყოფს ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციას, აღადგენს მტკიცე მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ხრიკებს ხალხთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამასთანავე უზრუნველყოფს ევროპის უშიშროებას.

მშვიდობის ძალებმა იციან, რომ ამ ბრძოლაში მათ შეუძლიათ იქონიონ საბჭოთა კავშირის იმედი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესია

როგორც უკვე ვიუწყებოდით 27 ოქტომბერს ლენინგრადში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესია.

მოხსენება — „მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე“ — წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-კოორდინატორ მ. ა. იზაბელა ბლუმმა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიამ მიიღო ტექსტი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წერილისა საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხისადმი. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრულ ვითარებაში

ბულგარეთისა და კოლუმბიის კომპარტიათა დელეგაციების შეხვედრა

სოფია, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთში მყოფი კოლუმბიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ჰილბერტო ვიეირას მეთაურობით შეხვდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით.

ჰილბერტო ვიეირამ და ტოდორ ჟივკოვმა, იუწყება ბულგარეთის დელეგატთა საკავშირო, ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ორ ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ, პარტიების საქმიანობისა და ამოცანების შესახებ. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტიურ საკითხებზე.

საუბრები მიმდინარეობდა გულითადად, მეგობრულ ვითარებაში. საკითხების განხილვის დროს გამოვლინდა სრული ერთიერთგაგება და აზრთა ერთობა.

ატომური მოვიზიტენი

ტოკიო, 28 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის მთავრობა წინააღმდეგი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ავიამზიდი „ენტერპრაიზის“ შემოვიდეს და დადგეს სასეიბოს ნავსადგურში. ამას წერს დღეს გაზეთი „მაინიჩი“.

როგორც გაზეთი იტყობინება, ეაშინგტონი იბრძვის, რაც შეიძლება სწრაფად დაითანხმოს იაპონია, რომ ამერიკის ატომური ხომალდები შეეიღნენ იაპონიის ნავსადგურებში. როგორც ვარაუდობენ, იაპონიის დადებით პასუხს მიიღებენ 12 ნოემბრამდე — იაპონიის პრემიერ-მინისტრის სატოს ეაშინგტონში ჩამოსვლამდე.

გაზეთი „ასახი“ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიის მთავრობა თანახმაა ვიეტნამის ომში მონაწილე ამერიკის ატომური ხომალდები ეწვიონ იაპონიის ნავსადგურებს. ვიეტნამის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაციებში იაპონიის მონაწილეობის ეს ღონისძიება, წერს „გაზეთი, იაპონიის ნავსადგურებში ატომური იარაღის შემოტანისა და იაპონიის ნავსადგურების ამერიკის ატომურ ბაზებად გადაქცევის ღონისძიებაა.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების (1923 წლის 29 ოქტომბერს) წლისთავისადმი. სურათზე: ანკარაში დადგმული ძეგლი თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ფუძემდებლის მუსტაფა ქემალისა, რომელმაც „ათათურქის (თურქთა მამის) სახელი მიიღო.

ფოტო მ. კულეშოვისა (ახალი ამბების სააგენტო).

ნოროდომ სიანუკი ქხმერ-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ

ვაშინგტონი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურის სიანუკის წერილი, რომელშიც იგი პასუხს აძლევს სტენლი კარნოუს სტატიას კამბოჯის პოლიტიკის შესახებ.

„ჩვენი სიძნელეები ჩინეთთან ურთიერთობაში, — წერს სიანუკი, — გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყნის მთავრობამ რადიკალურად შეცვალა პოზიცია ჩვენი მთავრობის მიმართ. მაშინ როცა 1956-1965 წლებში ბეიჯინი ჩვენი საუკეთესო მეგობარი იყო, ახლა უკვე წელიწადია, კულტურული რევოლუციის გაგლენით თავი სულ სხვაგვარად უჭირავს.

შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

პეკინი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ „დროებით დატოვა“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო და საკონსულოები ინდონეზიაში და იქიდან გამოიძახა ჩინეთის საელჩოსა და საკონსულოების ყველა მუშაკი. ეს ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც სინხუას საგენტომ გადმოსცა.

ეროვნული საკითხი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების გამო

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. 11 ქვეყანამ—ალჟირმა, ალბანეთმა, გვინეამ, კამბოჯამ, ბრაზავილმ, კონგომ, კუბამ, მალიმ, მავრიტანიამ, პაკისტანმა, რუმინეთმა, სირიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანეს რეზოლუციის პროექტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ. ასანი მოუწოდებენ გენერალურ ასამბლეას ცნოს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ჩინეთის ერთადერთი წარმომადგენელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ჩანკაიშისტური რეჟიმის წარმომადგენლები.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXII სესიაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა გაიმეორეს თავიანთი ძველი მანევრი, რომლის მიზანია ხელი შეუშალონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხის სამართლიან გადაჭრას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა 13 სახელმწიფომ გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდმნიშვნელოვანი საკითხია და მისი გადაჭრისათვის საჭიროა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა.

(საკდესი).

ეგვიპტეში ხანძარი ჩაქრეს

კაირო, 27 ოქტომბერი. (საკდესი). სახანძრო და საშველი რაზმების თავდადებულ მოქმედების შედეგად სუეცის ნავთობსახდელ ქარხნებსა და ნავთობსაცავებში მთლიანად ჩაქრეს ხანძარი, რომელიც გამოიწვია იმან, რომ 24 ოქტომბერს ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქალაქს.

მომარაგებისა და საშინაო ვაჭრობის მინისტრმა ნურ ედ-დინ კორამ განაცხადა, რომ რესპუბლიკის ნავთობის მარაგი საკმარისია და საჭირო ადარ იქნება საგანგებო ღონისძიებათა განხორციელება.

ამერიკის ავიამზიდზე აფეთქდა რაკეტა

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). ტონკინის ყურეში ამერიკის ავიამზიდზე „ფრანკლინ რაკლინ“ აფეთქებულ შედეგად დაიკრა ცხრა მატროსი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი საიგონიდან იტყობინება, ავიამზიდ „კორალ სის“ ერთ-ერთი საკეტის ძრავის ცეცხლი წაეკიდა, აფეთქდა და გამოიწვია „უმნიშვნელო ნგრევა“.

სტიქიური მოვლენები

ბრიგალი ცეილონში

კოლომბო. (საკდესი). წინასწარი მონაცემებით, ჩილავის რაიონში (70 კილომეტრზე კოლომბოდან) ძლიერი ბრიგალის შედეგად დაიღუპა ასზე მეტი კაცი და დაახლოებით 50 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

ცეილონის მთავრობა ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად.

ტაიფუნი იაპონიაში

ტოკიო, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ძლიერ წვიმასა და ქარს მოაყოლა ტაიფუნი „დინა“, რომელიც წუხელ დაატყდა იაპონიას. წელს ეს უკვე მეორე ძლიერი ტაიფუნია, რომელიც იაპონიას დაატყდა თავს. მტორმისა და წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 19 კაცი, 17 კაცი დაიკარგა. დიტბორა 20 ათასამდე სახლი და დამუშავებული მიწების დიდი ფართობები. ხონსიოს კუნძულის ბევრ გზაზე შეწყდა მიმოსვლა. ტოკიო—ოსაკის ხაზზე 20 ათასზე მეტმა მგზავრმა გვატარა ღამე ვაგზლებში მატარებლის ბოლოდროინდელ ქალაქ ცუში (მიეს პრეფექტურა) წვიმით ჩამორეცხილი მაგნა ჩამოინგრა ელექტრო-სადგურის მშენებელთა დროებით საცხოვრებელზე. ჩამონგრევის შედეგად დაიღუპა 22 მუშა. საშველად რაზმებმა ჭერ-ჭერობით მხოლოდ 12 გვამი იპოვეს.

მონოგრაფია ლენინურ წინასწარხედვაზე

ადამიანებს უხსოვარი დროიდანვე ჰქონდათ მისწრაფება აეხსნათ გარემომცველი სამყაროს შინაგანი საიდუმლოება. გაეგოთ არა მარტო ის, თუ რა იყო წინათ და რა არის ახლა, არამედ გაეთვალისწინებინათ ისიც, თუ რა მოხდება შემდეგ, რას მოგვიტანს მომავალი. მიზანდასახული და გააზრებული მოქმედება ადამიანის ცხოვრების არსებითი ნიშანია.

მაგრამ მომავლის განჭვრეტა არ სცილდება ემპირიულ ფარგლებს; ადამიანებს ისტორიის განვითარების დაბალ საფეხურზე არ შეეძლოთ სწორად შეეცნოთ მათ თვალწინ მიმდინარე მოვლენები, თავი დაედწიათ რელიგიური ცრუმორწმუნეობისათვის, ისინი მოკლებული იყვნენ მეცნიერული წინასწარხედვის უნარს. დროთა განმავლობაში ვითარდებოდა ცოდნის ჰორიზონტი. ჯერ ბუნების შესახებ შეიქმნა მეცნიერება და ამ სფეროში ჩაეყარა საფუძველი მეცნიერულ წინასწარხედვას, ხოლო უფრო გვიან — საზოგადოების შესახებ.

საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული ახსნა მარქსიზმის წარმოშობასთან არის დაკავშირებული. მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძველზე შემუშავდა მეცნიერული სოციოლოგიური კონცეპცია, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა საბუნებისმეტყველო მეცნიერული სიზუსტით შეგვესწავლა ისტორიის კანონზომიერება და მეცნიერულად განგვეკრიტა მომავალი. სასწაულები, წერდა ვ. ი. ლენინი, მადლობა ღმერთს, ახლა აღარა სწამთ, სასწაულებრივი წინასწარმეტყველება ზღაპარია, მაგრამ მეცნიერული წინასწარხედვა ფაქტია.

მეცნიერული წინასწარხედვა ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც გვიარაღებს ბუნებისა და საზოგადოებრივი ბუნებისა და საზოგადოებრივი ბუნების კანონების ცოდნით. შესაძლებლობას იძლევა ბეშმარიტად ავხსნათ გარემომცველ მოვლენათა შინაგანი კავშირი, გაეგოთ არა მარტო წარსული და აწმყო, არამედ განჭვრეტოთ მომავალი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მეცნიერული წინასწარხედვის გენიალური ოსტატები იყვნენ. მარქსისტულ-ლენინური თეორია და აქედან გამომდინარე მეცნიერული წინასწარხედვა ყოველთვის იყო და არის მათთვის ვარსკვლავი ჩვენი პარტიისა და ხალხისთვის. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად, მეტად აქტუალურ მნიშვნელობას იძენს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თემატიკა და კერძოდ ლენინური წინასწარხედვის საკითხების დამუშავება. სწორედ ამ ამოცანას უძღვნიდეს დოქ. რ. ჯინჯოლიას მონოგრაფიული გამოკვლევა „ლენინური წინასწარხედვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში“, რომელიც ამას წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა.

სარეცენზიო წიგნი შესავლისა და სამი თავისაგან შედგება. შესავალში მოცემულია საკითხის დაყენება და მითითებულია საკვლევი თემის აქტუალობაზე. თანამედროვე ეპოქაში, ვკითხულობთ წიგნში, იზრდება წინასწარხედვის მნიშვნელობა, ეს იმით აიხსნება, რომ კომუნისტური საზოგადოება შენდება არა სტიქიურად, არამედ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შეგნებული გამოყენების საფუძველზე. მაშასადამე, წინასწარხედვა ეპოქის მოთხოვნილებაა, იგი სოციალიზმისა და კომუნიზმის განვითარების ბუნებით არის განპირობებული(გვ. 11).

პირველ თავში — „წინასწარხედვის მეცნიერულ-ფილოსოფიური საფუძვლები“ ავტორი განიხილავს ადამიანის საკ. აზრთან დაკავშირებულ ემპირიული განმჭვრეტელობის საკითხს, აკრიტიკებს რელიგიურ წინასწარმეტყველებას და იძლევა დიალექტიკური. და ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მომავლის მეცნიერული განჭვრეტის, თეორიული საფუძვლების დასასაბუთებას. „მომავლის ცოდნა, წინასწარხედვა, წერს ავტორი, მიიღება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა ცოდნაზე დაყრდნობით, მეცნიერული ლოგიკის გამოყენებით, თეორიული განზოგადებით“ (გვ. 45).

მეორე თავში — „სოციალისტური რევოლუციის ეპოქის გაზრდილი მოთხოვნილება მეცნიერული წინასწარხედვისადმი და ლენინიზმი“ ვრცლად არის დახასიათებული წინასწარხედვის ლენინური გაგება, ლენინის მიერ მარქსისტული წინასწარხედვის დაცვა და მისი ფილოსოფიური საფუძვლების შემდგომი განვითარება, ლენინური წინასწარხედვის მნიშვნელობა პარტიის პროგრამისა და წესდების, სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში. „ლენინიზმი, მიუთითებს ავტორი, წარმოადგენს იმის კლასიკურ ნიმუშს, თუ როგორ უნდა მეცნიერული წინასწარხედვით მიღებული ბეშმარიტი მიზან-ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა, თუ როგორ უნდა ხალხთა მასების თეორიით მეიარაღება და მასებისადმი ორგანიზატორული ხელმძღვანელობა, რეალურ შესაძლებლობათა დროულად აღმოჩენა და მის სინამდვილედ გადაქცევა“ (გვ. 81-82).

წიგნის მესამე თავში — „ლენინური წინასწარხედვის როლი. ბოლშევიკური პარტიის მიერ სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და „გამარჯვების საქმეში“ გაშუქებულია ლენინური წინასწარხედვის როლი მარქსისტული პარტიის შექმნისა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ თავში, რომელიც წიგნის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, ფაქტიური მასალების განზოგადების საფუძველზე კარგად არის ნაჩვენები ვ. ი. ლენინის როგორც დიდი შორსმეჭვრეტელის ნამდვილი სახე და მოთხრობილია ჩვენი პარტიისა და ხალხის გმირული საქმიანობაზე ლენინურ წინასწარმეტყველებათა შესასრულებლად.

„განხორციელდა რა ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარხედვა, — —დასასკვნის ავტორი, — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გამარჯვა საბოლოოდ. ლენინიზმი. ლენინის მეცნიერული წინასწარხედვა გახდა ყველა კონტინენტის მშრომელთა მოქმედების სახელმძღვანელო მოძღვრება, რომელშიც ხალხები ეძებენ და პოულობენ პასუხს ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული და კულტურული განვითარების საჭირბოროტო პრობლემებზე“ (გვ. 212).

რ. ჯინჯოლიას წიგნი „ლენინური წინასწარხედვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში“ საკვლევი პრობლემის ღრმა ცოდნით არის დაწერილი, იგი გააზრებულია პოლიტიკურად და დიდი ინტერესით იკითხება. მაგრამ წიგნს ნაკლოვანებებიც აქვს. მასში არის ხშირი განმეორებები და ზოგიერთი სტილისტურად გაუმართავი დებულება. ავტორი აიგივებს საზოგადოების „ობიექტურ პირობებსა“ და „სტიქიურ მხარეს“ (გვ. 166). თუ აქ იგივებია, მაშინ ისინება კითხვა: სტიქიური პროცესების შეგნებულ პროცესებად გადაქცევა ხომ არ გამორიცხავს მის ობიექტურობას? საჭირო იყო მეტვრეტელობითი თვალსაზრისის უფრო საფუძვლიანი კრიტიკა; წიგნი მოიგებდა, თუ მასში გამოყოფდით ცალკე თავს: „მეცნიერული წინასწარხედვისა და პრაქტიკული მოქმედების ერთიანობა“, ეს ნაკლოვანებანი, ცხადია, არ ამცირებენ წიგნის ღირსებას. სარეცენზიო ნაშრომს სათანადო წვლილი შეაქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის მონოგრაფიულად დამუშავების საქმეში. იგი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს.

**დ. კ

მფენებელი გოგონები.

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

რუმინული თამაგეჭდილებები

მოგვითხრობს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი

ჩვენი თეატრის — თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები რუმინეთში ფაქტიურად ქართული დრამატული თეატრის პირველი გასვლაა საზღვარგარეთ. და უაღრესად საგულისხმოა, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ხუთრად წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წელს.

მე მინდა მოკლედ მოგითხროთ ჩვენი კოლექტივის პირველ საზღვარგარეთულ გასტროლებზე, იმ შეხვედრებსა და საუბრებზე, რაც თან ახლდა რუმინეთში მოგზაურობას.

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში 9 ოქტომბერს ჩავედით. აეროპორტში გულთბილად შეგვხვდნენ რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები, რუმინელი კოლეგები. ბუქარესტის მშრომელები. ჟურნალისტები. ჩასვლისთანავე მასპინძლებმა დაგვაბინავეს დედაქალაქის საუკეთესო ცენტრალურ სასტუმრო „ამბასადორში“.

გასტროლები დავიწყეთ მეორე დღესვე, კარაჯალეს სახელობის ეროვნული თეატრის შენობაში. წარმოვადგინეთ პრემიერა რ. ებრალიძისა და ს. დოლიძის „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“. მოგეხსენებათ, ეს სპექტაკლი ქართველ მაყურებლებს ჯერ არ უნახავთ, თბილისში მისი პრემიერა დანიშნულია 9 ნოემბერს. რუმინელი მაყურებელი, რომელიც საერთოდ დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი გამოსვლებისადმი, პირველ სპექტაკლს გულთბილად შეხვდა. განსაკუთრებით მოეწონათ მთავარი როლების შემსრულებლები სერგო ზაქარიაძე, ბადრი კობახიძე, ედიშერ მაღალაშვილი, გურანდა გაგუა და ტრისტან ყველაიძე.

ჩვენს პრემიერას ესწრებოდნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის პასუხისმგებელი მუშაკები, კერძოდ, რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვერდეცი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კულტურის დარგში მ. დალია, კულტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ა. ბალაჩი და ვ. ბრედიციანუ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. გლიგა და ვ. შანდრუ, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ბასოვი, ავრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ბუქარესტში ჩვენი სპექტაკლების თითქმის მუდმივი სტუმრები იყვნენ ქართული კულტურის დიდი მეგობრები — მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული ენაზე მთარგმნელი ვიქტორ კერნბახი და სასცენო ხელოვნების ალიარებული მცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ლეი ნანუ.

მესამე დღეს, 11 ოქტომბერს, დრამატული და მუსიკალური თეატრების ასოციაციის თავმჯდომარემ კოსტაკი ანტონიუმ მოგვიწყო პრეს-კონფერენცია, რომლის დამსწრეებს ვესაუბრეთ ქართულ კულტურაზე, ჩვენი სასცენო ხელოვნების წარსულსა და თანამედროვე მდგომარეობაზე.

საგასტროლო რეპერტუარის მეორე სპექტაკლად წარმოდგენილი იყო სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. შემდეგ საღამოს — მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, ხოლო ბოლო დღეს — „11 სცენა“. ეს არის თავისებური თეატრალური სანახაობა — მონტაჟი, რომელშიც გაერთიანებული იყო ნაწყვეტები თეატრის თერთმეტი სპექტაკლიდან. აქ იყო, კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“, „მეფე ლირი“, „ფიროსმანი“, „ხოგაის მინდია“, „მზიანი ღამე“, რუმინელი მწერლის ი. კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“, „გვადი ბიგვა“, „სეიდმის პროცესი“, „ჭინჭრაქა“, „ჩალის ქუდი“, „პეპო“.

უველა სპექტაკლი ითარგმნებოდა რუმინულ ენაზე. ამ საქმეს მთელი მონდომებით ასრულებდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის პედაგოგი ფ. ჯინჯიხაშვილი.

ბუქარესტში ყოფნის დროს მოგვიწყეს რამდენიმე გულითადი მიღება კულტურის სამინისტროში, მწერალთა კავშირში, თეატრალურ საზოგადოებაში. გამართული საუბრები ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისათვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ — სსრ კავშირის საელჩოში მასპინძლებისათვის მოვაწყეთ საპასუხო მიღება.

დავათვალიერეთ ქალაქი. გვირგვინებით შევამკეთ ფაშისტური ტირანიისაგან რუმინეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ძეგლი, ვიყავით ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ მონასტერში, სადაც, მინდა აღვნიშნო, ჩვენმა ბიჭებმა მშვენივრად შეასრულეს „შენ ხარ ვენახი“ და სხვა ძველი ქართული საგალობლები...

შემდეგ ავტობუსებით გავემგზავრეთ ქ. კლუჟში, რომელიც ბუქარესტიდან დაშორებულია 480 კილომეტრით. ეს მართალია დიდი ქალაქი არ არის (200 ათასი მცხოვრებია), მაგრამ აქ არსებობს ორი საოპერო თეატრი, ორი დრამატული თეატრი და ბევრი პედაგოგიური ინსტიტუტი. წარმოვადგინეთ სამი სპექტაკლი — „11 სცენა“, „სიბრძნე-სიცრუისა“ და „ბებერი მეზურნეები“. კლუჟში მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს ბოტანიკური ბაღი, რომელიც თავისი მნიშვნელობით პირველია მთელ რუმინეთში.

და, ბოლოს გამოსვლები გვქონდა ქ. ტირგუ-მურუშში, სადაც მაყურებელს ვუჩვენეთ „11 სცენა“ და „სიბრძნე-სიცრუისა“. ტირგუმურეშში ტანსილვანიის ავტონომიური ოლქის ცენტრია. აქ 100 ათასამდე მცხოვრებია, ძირითადი მოსახლეობა უნგრელები არიან. ქალაქში არის ორი დრამატული თეატრი, თეატრალური ინსტიტუტი, რამდენიმე ისტორიული ძეგლი და უნიკალური ბიბლიოთეკა, დაარსებული XVIII საუკუნეში. როგორც გვითხრეს, ბიბლიოთეკაში დაცულია მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების პირველი გამოცემების უმდიდრესი ფონდი.

გასტროლებს ფართოდ გამოეხმაურა რუმინული პრესა. დაიბეჭდა ბევრი რეცენზია, რომლებიც გამოირჩევა მაღალი პროფესიული დონით, კარგზე და, ცხადია, ზოგიერთ ნაკლზე სერიოზული მსჯელობით, მეგობრული, გულთბილი ტონით.

შემლებისდაგვარად გავეცანით რუმინეთის სასცენო ხელოვნებას. ვნახეთ სპექტაკლები კარაჯალეს სახელობის ეროვნულ თეატრში და ცნობილი თეატრალური მოღვაწის ბელიგანის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრში. ეს უკანასკნელი დაახლოებით მოსკოვის „სოვრემენნიკის“ მსგავსი თეატრია და დიდად პოპულარულია როგორც თვით რუმინეთში, ისე საზღვარგარეთ. იგი სეზონის უმეტეს დროს ევროპის ქვეყნებში მოგზაურობს საგასტროლოდ.

რუმინელმა მეგობრებმა გულთბილად გამოგვაცილეს. 23 ოქტომბერს უკვე მოსკოვში ვიყავით. აქ ვახტანგოვის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოვადგინეთ „გვადი ბიგვა“, ხოლო მცირე თეატრში — „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“.

თეატრის დასი ამჟამად უკვე თბილისშია. პირველი ნოემბრიდან ვიწყებთ ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დეკადას. წარმოდგენილი იქნება სპექტაკლები „სიმღერა შეკვარდნზე“, „მზიანი ღამე“, „ბებერი მეზურნეები“ და „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“.

გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენს სპექტაკლებზე!

* * *

სურათებზე: შეხვედრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივთან ბუქარესტის აეროპორტში; სცენა რუსთაველელთა პრემიერიდან „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“.

სოფლის კლუბში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სეიუბილეო დღეებში ხალისიანი საქმიანობა იგრძნობა ნიგვზიანის სოფლის კლუბში. იგი გადაიქცა მშრომელთა დასვენებისა და გართობის ადგილად.

კლუბთან არსებულმა დრამატულმა წრემ (ხელმძღვანელი თ. რუსიძე) მოამზადა ო. რაზმაძისა და ნ. მახარაშვილის პიესა „საქმროების არჩევანში“. მაყურებელმა მოიწონა ნ. სვანიძის, ნ. გიგინეიშვილის, ლ. ცომაიას, გ. კოხრეიძის, ზ. ტუღუშის, ა. ღლონტის თამაში.

დიდი ოქტომბერი და ქართული თეატრი

ამ თარიღს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც 26 ოქტომბერს გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა სახლში. გამოფენა მოაწყვეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, თეატრალურმა მუზეუმმა და ხელოვნების მუშაკთა სახლმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეული გადატრიალება მოახდინა ქართულ თეატრში. ქართული თეატრი ერთგულად ემსახურება ახალ იდეებსა და ახალ მოთხოვნებს. სცენაზე მოვიდნენ რევოლუციის გმირები, ახალი სამყაროს მშენებლები.

რევოლუციურ თემაზე დადგმული ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი იყო საქართველოში ბ. ლავრენოვის „რღვევა“. პიესა 1927 წელს ბათუმის დრამატულ თეატრში დადგა ცნობილმა რეჟისორმა და პედაგოგმა ა. ფალავამ.

მალე რუსპუბლიკის ყველა თეატრის სცენაზე გამოჩნდა რევოლუციურ თემისადმი მიძღვნილი სპექტაკლები.

ყოველივე ამას მოგვითხრობს ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია დეკორაციათა ესკიზები, აფიშები, პროგრამები და ფოტოსურათები. ცალკე განკოფილება ეძღვნება სპექტაკლებს, რომლებიც რესპუბლიკის თეატრებმა მოამზადეს იუბილესათვის. თავიანთი თაყვანისმცემლები გაახარეს რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებმა, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა, ჭიათურის, ფოთის, ბათუმის, გორისა და თელავის დრამატულმა თეატრებმა. (საქდესი).

დასკვნითი კონცერტები მოსკოვში

ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ ლენინგრადიდან მოსკოვს ეწვია მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლი.

ჩასვლისთანავე „მოსკოწკერტმა“ დედაქალაქის ერთ-ერთი მუშათა უბნის ს. ზუევას სახელობის კულტურის სასახლეში ომის ვეტერანთა საღამო-შეხვედრაზე მიგვიწვია.

ანსამბლმა ქართული კულტურის ნამდვილი ზეიმის ვითარებაში გამართა ავრეთვე კონცერტები რკინიგზის კულტურის სახლში, წითელი არმიის საოლქო სახლში, მე-3 ინტერნაციონალის სახელობის კულტურის სახლში, აგრეთვე მომსახურება გაუწია მოსკოვის გარეუბნის ქალაქებს კოლომნასა და დორობოგოს.

საიუბილეო დღეებში ანსამბლი ღირსეულად წარსდგება საანგარიშო კონცერტით აჭარის საზოგადოებრიობის წინაშე.

ბ. გაგბისონია,
აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

საღვესასნაულო ვაჭრობა

რით ეგვბებიან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკები მთელი პროგრესული კაცობრიობის დღესასწაულს — სახელოვან 50 წლისთავს, როგორ მოეწყობა ვაჭრობა წინა საღვესასწაულო და ღვესასწაულის ღღეებში? საქდესის კორესპონდენტის ამ კითხვებზე უპასუხა საქართველოს ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ე. ბ. ჯინჯიხაძემ. რესპუბლიკაში ცხრა თვის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით, მოსახლეობას მიეყიდა 100 მილიონ მანეთზე მეტი საქონელი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წელს რესპუბლიკის სავაჭრო ქსელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1967 წლის გეგმით იგი უნდა გაფართოებულიყო 140 ახალი მაღაზიით, ფაქტიურად ცხრა თვეში უკვე მწყობრში ჩაყენებულია 160 ახალი მაღაზია. საქმესლოატაციოდ გადაცემულია 98 რესტორანი, კაფე და სასაუზმე.

ახალი მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობასთან ერთად წყდება მოქმედი მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რეკონსტრუქციის პრობლემაც. ბევრი მათგანი რემონტის შემდეგ ძნელად თუ გამორჩევა ახლისაგან. მაგალითად, თბილისის „ბავშვთა სამყარო“ ფირმის სპეციალიზებული მაღაზია ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ თითქმის ერთიორად დიდი გახდება.

იცვლება ვაჭრობის ხარისხობრივი მხარეც. მაღაზიების უმრავლესობამ ფართოდ დაიწყო ახალი, მყიდველისათვის მოსახერხებელი მომსახურების ფორმების გამოყენება.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქში იცვლება მაღაზიების გარეგნული სახე: გაჩნდა ლამაზი ამბრები, გალამაზდა დარბაზები, ვიტრინები. ვაჭრობის საწარმოთა განახლება დღესასწაულისათვის დამთავრდება.

საიუბილეო თარიღის მოახლოებასთან ერთად რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა შორის იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც შეასრულა საღვესასწაულო შეჯიბრების დროს ნაკისრი ვალდებულება. თითოეული ადამიანი, ვინც შეასრულა საღვესასწაულო შეჯიბრების დროს ნაკისრი ვალდებულება, თითოეული ცდილობს დამკვრელური შრომით აღნიშნოს მშობლიური სახელმწიფოს 50 წლისთავი, გააფართოოს მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მომსახურების სფერო. ამ მიზნით დიდდება საქონლის შინ მიტანა, წინასწარი შეკვეთების მიღება. შეკვეთის მაგიდები შეიქმნება რესპუბლიკის ყველა დიდ მაღაზიაში.

საწყობებში მიღებულია ლამაზ კოლოფებში ჩალაგებული „საბჭოთა შამპანურის“ 100 ათასი კომპლექტი, ათეულ ათასობით ბამბუკით შემოწყვეტილი ბოთლი კონიაკი, ქერამიკულ და მოწნულ დოქებში ჩასხმული ღინიორები, 35 ათასი მინიატურული ბოთლი ლიქიორი. ყოველდღიურად სასურსათო მაღაზიები იღებენ ათასობით ძეხვეულისა და ხორცეულის კომპლექტს. შემოტანილია დიდძალი ფრინველი, თევზი, კონსერვი, ახალი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი. ტორტებს, ტკბილ-დეზერტებს, ნამცხვრის კულინარიული ნაწარმის ფართო ასორტიმენტს სთავაზობს მყიდველებს სასადილოების ტრესტის მიერ მოწყობილი გამოფენა-სავაჭროები.

მუშაობას შეუდგნენ სავაჭრო საწარმოთა დასაფასოებელი საამქროების კოლექტივები. მათ 2.500 ტონა საკონდიტრო ნაწარმი უნდა ჩაალაგონ ლამაზ კოლოფებსა და პაკეტებში, რომლებზე ზეც აღნიშნული იქნება საიუბილეო ციფრი „50“.

მარტო თბილისის საქალაქო ვაჭრობის „გასტრონომის“ მაღაზიებში მომზადებულია 150 ათასი საბავშვო საჩუქარი კამფეტებითა და ნამცხვრით. სადღესასწაულო სუფრისათვის ამზადებენ 25 ათას საბაკალეო კომპლექტს. 18 მოტოროლერი და სამი „მოსკვიჩი“ მიუტანს ამ პროდუქტებს მყიდველებს შინ.

საწყობების, მაცივრების, საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობა ისეთნაირადაა დაგეგმილი, რომ უზრუნველყონ სურსათითა და სამრეწველო საქონლით სავაჭრო ქსელის შეუფერხებელი მომარაგება.

თბილისის რესტორნებში „ისინდში“, „დარიალში“, „საღხინოში“, „რუსთაველში“, „ბუდაპეშტში“, აგრეთვე რესპუბლიკის სახელგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში მოეწყობა საოჯახო, ამხანაგური საღამოები. გარდა ამისა რესტორანები მსურველებს მიაქირავებენ ყოველივე იმას, რაც საჭიროა სუფრის სერვირებისათვის, მიიღებენ სხვადასხვა კერძის შეკვეთებს.

ღღესასწაულის წინა ღღეებში თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსპუბლიკის სხვა ქალაქების სამრეწველო საქონლის მაღაზიებში მიღებულია დიდძალი შესანიშნავი ხარისხის შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფირმების მოხდენილი მოდელის ფეხსაცმელი. მარტო „თბილფეხსაცმელსაწარმოს“ და „თბილტანსაცმელსაწარმოს“ ათ ღღეში მოსახლეობას მიეყიდა 1.100 ათას მანეთისაზე მეტი შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმი და ფეხსაცმელი. უნდა დავსძინოთ, რომ სავაჭრო ორგანიზაციები ეფრო აქტიურ ზეგავლენას ახდენენ წარმოებაზე იცავენ მომხმარებლის ინტერესებს. ვითარდება და მტკიცდება ფაბრიკების, ქარხნების, მსხვილი მაღაზიებისა და სავაჭროების პირდაპირი კავშირი.

ჯეგბის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ ოქტომბრის 50 წლისთავს სახელოვან იუბილეს, მოამზადეს თავიანთი შრომითი საჩუქრები. ისინი სავაჭრო ქსელში გზავნიან ნიახლეებს. ესენია — 50 წლის კონიაკი „საიუბილეო“, ღვინოები „ხიდისთაური“ და „შუმხუნა“, პური „საოჯახო“ და „ნაზუქი“, სიგარეტები „დედაქალაქური“ ეალკოჰოლო შუშხუნა ჩაის სასმელები, დაკონსერვებული სალათი — „სამაისო“, „ზამთარი“, „გაზაფხული“. კონდიტერებმა შექმნეს 18 დასახელების ტკბილეული. ესენია — კამფეტები „მშვიდობა“, თავთავი“, „ანანასი“, „ბაბუაწვერა“, „ალისფერი ყვავილი“, „ყავისა“ და „რძის“ ირისი, კარამელი „გამოცანა“, „მეგობრობა“, „შარადა“; ნამცხვარი „ფანტაზია“, „ხრამუნა“ ქიმმიშით, ვაფლი „მარინკა“ და საკარნავალო“.

დადგენილია სავაჭრო საწარმოთა მუშაობის რეჟიმი წინა სადღესასწაულო და ღღესასწაულის ღღეებში. 4, 5 და 6 ნოემბერს სასურსათო მაღაზიები იმუშავებენ 24 საათამდე, ხოლო სამრეწველო საქონლისა — 21 საათამდე. 7 ნოემბერს ვაჭრობა იწყრმოებს მხოლოდ პურისა და ორცეულიან სასურსათო მაღაზიებში, ბაზრები და ბაზრობები ყოველდღე იმუშავებენ ჩვეულებრივად.

დამონტრანტებისა და სახალხო სეირნობების მონაწილეთათვის მოეწყობა ფართო დატარებითი ვაჭრობა. (საქდესი).

„რენესანსი“ ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ლაინერმა „რენესანსმა“ წელს მეორედ ჩაუშვა ღუზა ბათუმის ნავსადგურში. ამჯერად ხომალდმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოიყვანა 330 ტურისტი.

გერმანელმა ტურისტებმა დათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობანი.

სტუმრებისათვის ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს I საკავშირო ბავშვთა ხელოვნების ფესტივალის ლაურეატმა, ბათუმის პიონერთა პარკის ანსამბლმა „გაზაფხულმა“ და აჭარაოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

ქიმოსეა-ბასუხის სალამო

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ქინოთეატრში დიდძალი ხალხი შეიკრიბა. საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ და რაიონული საავადმყოფოს კოლექტივმა გამართეს კითხვა-პასუხის საღამო სამედიცინო თემაზე.

შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს ექიმებმა მ. ალბანოვამ, ლ. გორგენიძემ, ი. კიკნიძემ, ს. დეკდარიანმა, ვ. ჯოლოგაძემ, მ. გოგიჩაძემ, თ. დეკდარიანმა, რაიონული აფთიაქის მმართველმა პროფიზორმა ზ. ბოლოგანმა.

მოახლოებული ფინიში

სამიოდე კვირა გვაშორებს ფეხბურთში ოცდამეცხრე საკავშირო ჩემპიონატის ფინიშს. რა თქმა უნდა ჯერ კიდევ წინ არის გადამწყვეტი მატჩები და ძნელია იმის თქმა თუ რით დამთავრდება თვითეული მათგანი, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ბრძოლა უკომპრომისო და შეუპოვარი იქნება.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ფინიში ექნება უფლიერესთა სამეულს — მოსკოვის, კიევისა და თბილისის „დინამოს“. როგორც ცნობილია, თბილისელებს დარჩა ორი გასვლითი თამაში მოსკოვში „ლოკომოტივთან“ და „ტორპედოსთან“. შემდეგ კი სამი მატჩი საკუთარ მოედანზე მოსკოვის „დინამოსთან“ და „სპარტაკთან“, აგრეთვე ლუგანსკის „ზარიასთან“.

დღევანდელი თამაშებიდან პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს შეხვედრა კიევში ადგილობრივ „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდებს შორის. თუ ამ შეხვედრაში წარმატება ჩემპიონს ხვდა იგი შეგროვილი ქულებით დაეწევა ლიდერს — მოსკოვის „დინამოს“, ამასთანავე ერთი თამაში მარაგში ექნება.

მართალია, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ სატურნირო ცხრილში სხვადასხვა ადგილები უკავიათ, მაგრამ მათი შეხვედრა პრინციპული იქნება. თუ გავიხსენებთ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა ქუთაისის „ტორპედოსაც“ გასვლითი მატჩი აქვს მოსკოვში თანაკლუბელებთან.

დანარჩენ მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან: კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და ალმა-ატის „ელარატის“, მინსკის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის, ლენინგრადის „ზენიტისა“ და დონეცკის „შახტიორის“, ოდესის „ჩერნომორეცისა“ და ერევნის „არარატის“ გუნდები.

ოთამაშებს თუ არა ფიშერი?

ბუენოსაიერეს ტენნისის საზონთაშორისო საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილეთათვის თავისუფალი დღე იყო, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჭადრაკისაგან მოწყვეტილი იყვნენ. მართალია, ამ დღეს არ გამართულა ტური, მაგრამ როგორც ყოველთვის ღილით მოეწყო გადაღებული პარტიების ანალიზი. **ლარსენ-შტეინის** პარტია კვლავ გადადგა, თუმცა შემდეგ საბჭოთა გროსმაისტერმა თავი დაიარცხებულად ცნო, ბოლო ტურებში წარმატებით იბრძვის ბრაზილიის ჩემპიონი 15 წლის მოკადრაკე **მეკინგი**, რომელმაც ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან დაამარცხა **ოკვალეკი**.

საბჭოთა გროსმაისტერმა **კორჩნოიმ** მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს **ბირნს. მატულოვიჩმა** დაამარცხა **ივკოვი, გლიგორიჩ-ბარეკი, მატულოვიჩ-ბილეკი** და **ბუენოს-სარაპუ** ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბუენოსში დარბაზში რომ შედიოდნენ, იკითხეს საკდესის კორესპონდენტი **ა. ტოკარევი**, ტურნირის მონაწილენი გაოცებული დარჩნენ: ოფიციალურ ცხრილში ამოღებული იყო **რ. ფიშერის** გვარი... თურმე, ამერიკელ გროსმაისტერს მსაჯთა კოლეგიისათვის გაუცხადებია, ტურნირიდან გასვლას ვაპირებო. მიზეზი? „არ ეთანხმება რეგლამენტს“. თუმცა ჯერ კიდევ წინა დღეს თვით ფიშერმა სთხოვა ორბიტრებს ყველასათვის საერთო რეგლამენტი დაეწესებინათ მისთვისაც...

ფიშერი დიდი ხანია წუწუნებდა, ყველაზე მეტად მიძნელდებოო თამაში, „დასვენებისათვის დღეები არ მრჩებაო. მაგრამ შეიძლება ვიკითხოთ, ეს არის ამაში დამნაშავე? ვინ შემოიღო განსაკუთრებული რეგლამენტი „ლოცვის დღეებისათვის?“ და რატომ უნდა შეწუხდნენ. ამის გამო სხვები, კერძოდ საბჭოთა გროსმაისტერები **გელერი** და **კორჩნოი**, რომლებმაც თამერთან უნდა ითამაშონ იმ დღეებში, როცა უნდა ისვენებდნენ. ბუენოსაიერეს, რომ ამერიკელის ასეთმა საქციელმა ტურნირის ყველა მონაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ფიშერის ასეთი საქციელი მუქარა ხომ არ იყო დანარჩენებისათვის? თუმცა ეს „სვლა“ არ შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს — შესაძლოა ჭორეფელმა გროსმაისტერმა გადაწყვეტა თავისი სიტყვა. ასეთი რამეც მომხდარა. ასეა თუ ისე, სუსპნი გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების ტენნისის საელჩოს წარმომადგენელი, რათა დაიყოლიოს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი განაგრძოს ბრძოლა ტურნირზე.

სპორტული ქრონიკა

☐ **კისლოვოდსკში** დასასრულს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება შაშში ქალთა შორის. ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე სატურნირო ცხრილის სათავეში დგანან რიგელი **ი. ცინესი** და მოლდაველი **ლ. ბენდერსკაია**, რომლებსაც ექვს-ექვსი ქულა აქვთ. აღსანიშნავია რომ **ლ. ბენდერსკაია** ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც ჯერ დამარცხება არ განუცდია.

☐ **სირიაში** ტურნეს მართავს ერევნის ქალათბურთელ ვაჟთა გუნდი. დამასკოში საბჭოთა კალათბურთელები შეხვდნენ „ფუტის“ საალუმინო გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 83 : 60. სირიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ალაჩაჩიანისა და ვარდანიანის თამაშს.

ბუენოსაიერეს ტენნისის საზონთაშორისო საკვალიფიკაციო ტურნირის მონაწილეთათვის თავისუფალი დღე იყო, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჭადრაკისაგან მოწყვეტილი იყვნენ. მართალია, ამ დღეს არ გამართულა ტური, მაგრამ როგორც ყოველთვის ღილით მოეწყო გადაღებული პარტიების ანალიზი. **ლარსენ-შტეინის** პარტია კვლავ გადადგა, თუმცა შემდეგ საბჭოთა გროსმაისტერმა თავი დაიარცხებულად ცნო, ბოლო ტურებში წარმატებით იბრძვის ბრაზილიის ჩემპიონი 15 წლის მოკადრაკე **მეკინგი**, რომელმაც ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა. ამჯერად მან დაამარცხა **ოკვალეკი**.

საბჭოთა გროსმაისტერმა **კორჩნოიმ** მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს **ბირნს. მატულოვიჩმა** დაამარცხა **ივკოვი, გლიგორიჩ-ბარეკი, მატულოვიჩ-ბილეკი** და **ბუენოს-სარაპუ** ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბუენოსში დარბაზში რომ შედიოდნენ, იკითხეს საკდესის კორესპონდენტი **ა. ტოკარევი**, ტურნირის მონაწილენი გაოცებული დარჩნენ: ოფიციალურ ცხრილში ამოღებული იყო **რ. ფიშერის** გვარი... თურმე, ამერიკელ გროსმაისტერს მსაჯთა კოლეგიისათვის გაუცხადებია, ტურნირიდან გასვლას ვაპირებო. მიზეზი? „არ ეთანხმება რეგლამენტს“. თუმცა

ბაკინი ტენნისტი **ალეგ ალეგოროვი** ბოლო ადგილზე გავიდა ტურნირში, **ბაკინელ ალ.